ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №8163170

ნომერი: AR11168976

თარიღი : 10.11.2026

გაცემის თარიღი : 17.11.2026

გაცნობის თარიღი : 17.11.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დუტუ მეგრელი , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩხაიძე პ/ნ 01004008072
- მთაწმინდის შეს.7ა ბ.14

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 10 ნოემბერს №AR11168976 განცხადებით მომართა აკაკი ჩხაიძემ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 19 მარტის №7848136 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში ტექნიკური შეცდომის გასწორება. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 19 მარტის №7848136 ბრძანებით, ცვლილება შევიდა სამსახურის 2022 წლის 3 ივნისის №5968435 ბრძანებაში მშენებლობის ვადის ნაწილში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2026 წლის 19 მარტიდან 2028 წლის 19 თებერვლის ჩათვლით“.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 19 მარტის №7848136 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, გრაფიკში მითითებული თარიღები შეუსაბამოა გაცემული ნებართვის თარიღთან. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 19 მარტის №7848136 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში მითითებული თარიღები შეუსაბამოა გაცემული ნებართვის თარიღთან, თუმცა 2026 წლის 10 ნოემბრის №AR11168976 განცხადებაზე წარმოდგენილ მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში ასევე შეცვლილია მშენებლობის განხორციელების პროცესის დარჩენილი რიგები და ეტაპები, რაც არ წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის შეცდომას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების და სამსახურის 2026 წლის 19 მარტის №7848136 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.